ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4226008

ნომერი: AR1633809

თარიღი : 28.09.2018

გაცემის თარიღი : 19.10.2018

გაცნობის თარიღი : 20.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხიზაბავრის N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ლოლაშვილი პ/ნ 01008008282
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 02 ივლისის №4044659 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 28 სექტემბერს №AR1633809 განცხადებით მომართეს ზურაბ ლოლაშვილმა, ვასილ ქურხულმა, გიორგი

მარგიანმა, გიორგი მგელაძემ და დიმიტრი მესხიშვილმა და მოითხოვეს სამსახურის 2018 წლის 02 ივლისის №4044659 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 02 ივლისის №4044659 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ხიზაბავრის N1, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.11.12.018.021), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 02 ივლისიდან 2019 წლის 02 ივლისის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2018 წლის 02 ივლისის №4044659 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ტექნიკური შეცდომის გასწორება. კერძოდ, განმცხადებლებს სურთ აღნიშნულ ბრძანებაში დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომი ფართით 282.15 კვ.მ. განმცხადებლების მიერ ასევე წარმოდგენილია გენ-გეგმა ავტოსადგომების ჩვენებით.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2018 წლის 02 ივლისის №4044659 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციით გათვალიწინებული იყო ,,ა'' ბლოკისთვის 19 ღია ავტოსადგომი ფართით 282.15 კვ.მ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს სამსახურის 2018 წლის 02 ივლისის №4044659 ბრძანებაში ცვლილების შეტანის სამართლებრივი საფუძველი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება სამსახურის 2018 წლის 02 ივლისის №4044659 ბრძანებაში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 02 ივლისის №4044659 ბრძანებაში და აღნიშნლ ბრძანებაში დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომი ფართით 282.15 კვ.მ.
2. სამსახურის 2018 წლის 02 ივლისის №4044659 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას დაემატოს 2018 წლის 28 სექტემბრის №AR1633809 განცხადებაზე შეტყობინების ველით გამოგზავნილი გენ-გეგმა.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 02 ივლისის №4044659 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 2 ივლისის №4044659 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.